განმცხადებელი: გიორგი კვაშილავა
თარიღი: 12-04-2021

მივიჩნევ, რომ ჟურნალისტმა/რედაქტორმა დაარღვია საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის პრინციპ(ებ)ი: პრინციპი 1;პრინციპი 3;პრინციპი 4;პრინციპი 5;პრინციპი 11

ინფორმაცია ჟურნალისტის/რედაქტორის შესახებ, რომელმაც სავარაუდოდ დაარღვია ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის პრინციპები:

მთავარი არხი, ნინი ჟიჟიაშვილი, მიხეილ სესიაშვილი. გადაცემა მთავარი შაბათის შოუ, წამყვანი მიხეილ სესიაშვილი.

ჟურნალისტის//რედაქტორის მიერ ქარტიის პრინციპების დარღვევის დასაბუთება :

დასაბუთება პრინციპი 1, 3, 4, 5, 11. ჟურნალისტი აშკარაა რომ არ არის დაინტერესებული სიმართლის საზოგადოებისათვის მიწოდებით. ჩანაწერი მან, რომელიც ჩემთან სატელეფონო საუბრისას გააკეთა (მას არ უთქვამს რომ მირეკავდა ჟურნალისტი) იმდენად აქვს დამახინჯებული (დაჭრილი) ხოლო შემდგომ გამოყენებული რეპორტაჟში, შეუძლებელია საზოგადოებას გაეგო თუ რა არის სიმართლე.

მიუხედავად იმისა, რომ ჟურნალისტი რასაც ამტკიცებს, მისი საპირისპირო ინფორმაცია მე მას განვუმარტე საუბრისას, ჟურნალისტმა ჩემს მიერ მიწოდებული ინფორმაციიდან მხოლოდ მცირე ნაწილი გამოიყენა რეპორტაჟში. ჟურნალისტი არ დაინტერესებულა არსებული მდგომარეობით მის მიერ საჯაროდ გამოტანილი დოკუმენტი ისევ იყო ძალაში თუ არა, ან რამე ცვლილება ხომ არ შევიდა მასში. ის ამბობს, რომ სტუდენტებს სთხოვენ 300$ და ამას აცხადებს ძველ დოკუმენტზე დაყრდნობით, როდესაც დოკუმენტში მითითებული 300$ ჯერ კიდევ 3 აპრილს არის შემცირებული და დაყვანილია 180$. (იხ. FB გვერდი BSU INDIA TO GEORGIA, 3 აპრილის პოსტი) თუმც კი ჟურნალისტს ეს გარემოება არ გამოუკვლევია და ისე მიაწოდა საზოგადოებას ინფორმაცია.

ჟურნალისტი აშკარაა, რომ არც კი შეეცადა ჩემთან გადაემოწმებინა ფაქტები, არამედ დამიკავშირდა და როგორც კერძო პირმა ისე დამისვა შეკითხვები, თითქოს მას სურდა მის ინდოელ ერთ სტუდენტს დავხმარებოდი. თუ ის ფიქრობდა , რომ მე შესაძლებელი იყო რამე ფაქტები დამემალა ან ჩემს სასიკეთოდ მეთქვა თუ მეტყოდა რომ ჟურნალისტი მესაუბრებოდა, მაშინ ამ საუბრის შემდეგ ისევ რატომ არ დამიკავშირდა ან უკვე ჟურნალისტის რანგში და რატომ არ ეცადა გადაემოწმებინა ფაქტები ჩემთან ან კიდე რატომ არ მომცა შესაძლებლობა მემტკიცებინა საპირისპირო ვიდრე სიუჟეტში არსებული ბრალდებებია. ჟურნალისტი განზრახ ამახინჯებს დოკუმენტში თარგმანს და დოკუმენტში მითითებულ entrance permission თარგმნის როგორ ბინადრობის ნებართვას, როდესაც მისი მნიშვნელობა არის შემოსვლის ნებართვა. (ბინადრობის ნებართვა, არის აბსოლუტურად სხვა დოკუმენტი) როდესაც ჟურნალისტი დამიკავშირდა და საუბარში მკითხა შემოსვლის ნებართვა ხომ უფასოა, მე მას დავუდასტურე, რომ შემოსვლის ნებართვა დიახ უფასოა, მაგრამ შემოსვლის ნებართვის მოპოვებისათვის საჭირო დოკუმენტების დამუშავებაა ნაგულისხმებითქო, ეს საერთოდ არ გაითვალისწინა და სიუჟეტის მიმდინარეობისას მაინც ჯიუტად ამტკიცებს, რომ შემოსვლის ნებართვა არის უფასო და ამაში სტუდენტებს ფულს ახდევინებენო. ჟურნალისტი ამბობს, რომ უნივერსიტეტის პრორექტორთან საუბრისას პრორექტორმა უხერხულობა ვერ დამალა, როდესაც ჩემზე - გიორგი კვაშილავაზე ვკითხეთო. თუ კარგად დააკვირდებით, მას არ ახსოვდა საერთოდ ჩემი სახელი და გვარი და ამიტომაც გააკეთა პაუზა, ხოლო იქვე მდგომმა თანამშრომელმა შეახსენა სახელი და მას შემდეგ დაასახელა მან ჩემი სახელი. ასევ ჟურნალისტი ამბობს, გადაწყვეტ ჟურნალისტი მიხეილ

სესიაშვილი სიუჟეტის ბოლოს ამბობს, რომ სტუდენტებს ეუბნებიან თუ არ მოგწონთ საქართველოში მაშინ მიბრძანდით აქიდანო.

საერთოდ გაუგებარია რაზე დაყრდნობით საუბრობს ამაზე, როდესაც მსგავსი რამ არც მე და არც არავის ჩემი კომპანიიდან მსგავსი არასოდეს უთქვას არც ერთ სტუდენტზე. ჟურნალისტი ამბობს, რომ თუ არ სტუდენტები არ გადაიხდიან მოთხოვნილ თანხას, ემუქრებიან სტუდენტის სტატუსის შეწყვეტითო. მსგავსი, რომ არასოდეს არცერთ სტუდენტისთვის არ გვითქვამს. იდეაშიც წარმოუდგენელია კერძო კომპანიისათვის არ გადახდილი თანხის გამო როგორ შეიძლებას სტუდენტს შეუწყდეს სტატუსი, როდესაც მსგავსი უფლება ან/და ფუნქცია კერძო კომპანიას საერთოდ არ აქვს. მიხეილ სესიაშვილი საუბრის დასაწყისში ამბობს, რომ სახელწიფომ კორუფცია შესთავაზა უცხოელ სტუდენტებს, რა კორუფციაზეა საუბარი საერთოდ წარმოუდგენელია და ველით მათგან განმარტებას, რა მტკიცებულებები ან წყარო აქვთ, რომ რაიმე სახის კორუფციული გარიგებები არსებობს ამ საკითხზე. არის ასევე სხვა გარემოებები, გთხოვთ ჩანიშნოთ ზეპირი სხდომა, რომელზედაც შევძლებ ზეპირ სხდომაზე საუბარს დარისპან პაშერი, რომელიც ამ სიუჟეტში აძლევს ინტერვიუს, ეჭვი მაქვს, რომ ჟურნალისტი ეყრდნობა მთლიანად მის მიერ მიწოდებულ ინფორმაციას, დარისპანი არის ჟურნალისტებთან დაახლოებული პირი და ახლახან ტელევიზია დაარსა ინდური ენის მიმართულებით) მე დიდი ხანია უცხოელების უფლებებისათვის ვიბრძვი საქართველოში, 2014 წლიდან ვარ უცხოელთა სამართლებრივი დაცვის ორგანიზაციის დამფუძნებელი. საიმიგრაციო სამართალს მიკუთვნებული 1000 ამდე საქმე მაქვს ნაწარმოები სასამართლოში, რომელთა უმრავლესობა მოგებით მაქვს დასრულებული. ვინაიდან ასევე დარისპან პაშერი უცხოელ სტუდენტებთან ურთიერთობით არის დაკავებული, არ არის გამორიცხული წარმატებული საქმიანობისადმი შურის მოტივებით იყოს ეს სიუჟეტის შექმნა განპირობებული.

განცხადება და თანდართული მასალები, დასაშვებობის შემთხვევაში, ხდება საჯარო და ნებისმიერ პირს ექნება საშუალება გაეცნოს მას. **:** ვეთანხმები

დავის დამატებითი ფაქტობრივი გარემოება

ჟურნალისტი სიუჟეტის მსვლელობისას ამბობს, რომ სტადი ინ გეორგია კომპანია დაუკავშირდა სტუდენტებს, რაც ასევე არ არის მართალი. მომსახურებით დაინტერესებული სტუდენტები გვიკავშირდებიან თავად და მხოლოდ მათ მიერ აპლიკაციის შევსების შემდეგ (აპლიკაციის შევსება არის აბსოლუტურად ნებაყოფლობითი) ვუკავშირდებით მას აპლიკაციაში მითითებულ მონაცემებზე. თუ სტუდენტი არ შეავსებს აპლიკაცაის კომპანიისათვის ვერასოდეს გახდება ცნობილი სტუდენტის შესახებ და ვერც დაუკავშირდება მას. აპლიკაცია განთავსებული ამავე ფბ გვერდზე.

აქვე მოგახსენებთ, რომ როდესაც დაინტერესებულ სტუდენტებს შევთავაზეთ 300$ გადახდა ეძვირათ რაც შესამჩნევი იყო და შემდეგ შევთავაზეთ 180$. მაგრამ ასევე ინდივიდუალურად ვინც გვიკავშირდებოდა (კლიენტი ოღონდ არ დაგვეკარგა) და 150$ ი შევთავაზეთ, რაზედაც სტუდენტი დაგვთანხმდა მაგრამ შემდეგ გადაიფიქრა. შემდეგ კი საერთოდ უარი განვაცხადეთ ვაქცინირებული სტუდენტების მომსახურებაზე, რადგან ვინც დაგვიკავშირდა ვაქცინირებული სტუდენტები მათი რაოდენობა იყო ძალიან მცირე და მათი გადახდილი თანხებიდან არაფერი დაგვრჩებოდა.

ლინკი რომელსაც ავსებს სტუდენტი, რომელსაც სურს ჩვენი მომსახურებით სარგებლობა
https://docs.google.com/forms/d/e/1FAIpQLSe4gpo2aGyGqy-6J4XrP5ccDLUeLaF8UUNFrlwgbBM1l_QLXw/viewform?usp=sf_link

როდესაც მე ვაცხადებ ჩანაწერში, რომ სტუდენტები რომელსაც ქონდათ ვაქცინაციის საბუთი, მაგრამ ისინი მაინც გადაიყვანეს საკარანტინე სივრცეში, მართლაც მოხდა მსგავსი ფაქტი, მაგრამ არა ბათუმის სტუდენტების მიმართ, ბათუმის უნივერსიტეტის არცერთი სტუდენტი რომელიც ჩამოვიდა ვაქცინაციის საბუთით არასოდეს გადაუყვანიათ კარანტინში. იყო რამდენიმე ფაქტი, რაც უკავშირდება ასევე სახელმწიფოს მხრიდან სიფრთხილეს, ვინაიდან ეს მოხდა მაშინ, როდესაც გავრცელდა ინფორმაცია, რომ ბევრი სტუდენტი გაყალბებული ვაქცინაციის საბუთით მოდიოდა საქართველოში და ცდილობდა კარანტინისთვის გვერდის ავლას. ამის შესახებ ინდოეთის საელჩო სომხეთსა და საქათველოში თავის ფბ გვერდზე წერს, და აფრთხილებს სტუდენტებს, რომ წინასწარ გააგზავნონ თავიან უნივერსიტეტებში ვაქცინაციის საბუთი რათა შემოსვლისას არ ქონდეთ პრობლემა, ხოლო ამის მიზეზად ასახელებს ძალიან ბევრ გაყალბებულ ვაქცინაციის საბუთს.
საელჩოს ფბ გვერდი
https://www.facebook.com/indiainyerevan
იხ. 7 აპრილის პოსტი სათაურით **Information for Indian students returning to Georgia**:

დამატებით, მოგახსენეთ, რომ შეუძლებელია ვინმე შემყავდეს შეცდომაში, რადგან მე ჩემი პირადი ფბ გვერდის მეშვეობით ვაცნობე სტუდენტებს, რომ ვისაც აქვს ვაქცინაციის საბუთი კარანტინის გავლის აგრეშე შეუძლია საქართველოში შემოსვლა.
იხ. ჩემი ფბ გვერდი https://www.facebook.com/google999999999